„დამტკიცებულია“

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის

2016 წლის 18 მარტის #8$2 გადაწყვეტილებით

მაღალმთიან დასახლებაში ან ისეთ დასახლებაში, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის, სანოტარო საქმიანობის განმახორციელებელი ნოტარიუსისათვის ფინანსური დახმარების გაწევის წესი

მუხლი 1

მაღალმთიან დასახლებაში ან ისეთ დასახლებაში, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის, სანოტარო საქმიანობის განმახორციელებელი ნოტარიუსისათვის ფინანსური დახმარების გაწევის წესი (შემდგომ - წესი) მიღებულია „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 2^3 პუნქტის საფუძველზე.

მუხლი 2

წესის მიზანია:

ა) მაღალმთიან დასახლებაში ან ისეთ დასახლებაში, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის, სანოტარო საქმიანობის განმახორციელებელი ნოტარიუსისათვის ფინანსური დახმარების გაწევის პრინციპების დადგენის გზით ხელი შეუწყოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სანოტარო მომსახურების ხელმისაწვდომობას;

ბ) უზრუნველყოს მაღალმთიან დასახლებაში ან ისეთ დასახლებაში, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის, დანიშნული ნოტარიუსებისათვის საქმიანობის განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად სანოტარო ბიუროს მოწყობაში დახმარება და მისი ფუნქციონირების ხელშეწყობა.

მუხლი 3

1. მაღალმთიან დასახლებაში ან ისეთ დასახლებაში, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის, სანოტარო საქმიანობის განმახორციელებელ ნოტარიუსთა ფინანსური დახმარებისათვის საჭირო თანხის ყოველწლიური ოდენობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატის (შემდგომ - ნოტარიუსთა პალატა) ბიუჯეტით განისაზღვრება.

2. ფინანსური დახმარების სახეებია:

ა) მატერიალური დახმარება - საჭიროების შემთხვევაში, საოფისე ან/და სანოტარო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო სხვა შესაბამისი ინვენტარით, იურიდიული ლიტერატურით, კომპიუტერული ტექნიკით, საცხოვრებელი ბინით ან/და სანოტარო ბიუროს

ოფისით ან საცხოვრებელი ბინის ან/და სანოტარო ბიუროს ოფისისათვის აუცილებელი ხარჯების სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსებით უზრუნველყოფა;

ბ. ფულადი დახმარება - ნოტარიუსთა პალატის ბიუჯეტიდან ერთ ნოტარიუსზე ყოველკვარტალურად გამოყოფილი ფულადი თანხა 900 (ცხრაასი) ლარის ოდენობით (ხელზე ასაღები/დაბეგრილი შემოსავალი), რომელიც ნოტარიუსის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე უნდა ჩაირიცხოს არაუგვიანეს კალენდარული კვარტლის დასრულებიდან მომდევნო კვარტლის პირველი თვის პირველი 10 სამუშაო დღის ვადაში. ნოტარიუსისათვის გაცემული ფულადი დახმარების თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2023 წლის 9 მარტის N6 §5 გადაწყვეტილება.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2024 წლის 12 მარტის N5 §8.3 გადაწყვეტილება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული მატერიალური დახმარების მიღების მოთხოვნით ნოტარიუსი უფლებამოსილია დასაბუთებული წერილობითი განცხადებით მიმართოს ნოტარიუსთა პალატას.

4. ნოტარიუსთა პალატა უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის ორგანოს მაღალმთიან დასახლებაში ან ისეთ დასახლებაში, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის, სანოტარო ბიუროს განთავსებისათვის საჭირო უძრავი ქონების კანონმდებლობით დადგენილი წესით უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ნოტარიუსისათვის მატერიალური დახმარების სახით გადაცემული მოძრავი და უძრავი ქონება, რომელიც შეძენილია ნოტარიუსთა პალატის სახსრებით, ნოტარიუსთა პალატის საკუთრებაა. ნოტარიუსი პასუხისმგებელია აღნიშნული ქონების მოვლა-პატრონობასა და შენარჩუნებაზე.

6. მაღალმთიან დასახლებაში ან ისეთ დასახლებაში, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის, სანოტარო საქმიანობის განხორციელების შეწყვეტის შემთხვევაში ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული მოძრავი და უძრავი ქონება უბრუნდება ნოტარიუსთა პალატას.

მუხლი 4

ეს წესი ძალაში შედის მიღებისთანავე.